გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 204

2023 წლის 10 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბოშურში მდებარე ს/კ 66.61.03.101 უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2023 წლის 31 ივლისს (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია: N19/2023212357-08 31.07.2023 წ.) შემოსულია განცხადება, რომელშიც იჯარის ფორმით მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.61.03.101 უძრავი ქონება (მისამართი: რაიონი გორი, სოფელი ბოშური).

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 26 სექტემბრის N 319-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.61.03.101, დაზუსტებული ფართობი - 740.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1 (საერთო ფართი - 230.75 კვ.მ), მისამართი გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოშური, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 106,000 (ასექვსი ათასი) ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბოშურში მდებარე ს/კ 66.61.03.101 უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა,

რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 740.00 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა N1, საერთო ფართით 230.75 კვ.მ (მისამართი: რაიონი გორი, სოფელი ბოშური, ს/კ 66.61.03.101), გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 740.00 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა N1, საერთო ფართით 230.75 კვ.მ (მისამართი: რაიონი გორი, სოფელი ბოშური ს/კ 66.61.03.101), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 106,000 (ასექვსი ათასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა ს/კ 66.61.03.101 უძრავ ქონებაზე განისაზვროს 7200 (შვიდიათას ორასი) ლარით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) ს/კ 66.61.03.101 უძრავ ქონებაზე ერთი წლის განმავლობაში მოეწყოს საოჯახო ტიპის სასტუმრო და დასაქმებულ იქნეს 5 ადგილობრივი მოსახლე;

ბ) ს/კ 66.61.03.101 უძრავი ქონება იჯარის ფორმით გაცემულ იქნეს კომერციული დანიშნულებით;

გ) ს/კ 66.61.03.101 უძრავ ქონებაზე სარემონტო სამუშაოები შეთანხმებულ იქნას გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებასთან;

დ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე